

ლიცენზირებული სამუშაო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ დამატება
№9, 30 სექტემბერი, ორშაბათი, 2019 წელი

იმერსალიძის ჯვრის მონასტრის საპატრიარქოს დაზარალება!



აბრამ-პაატა იოსებაშვილი, ისრაელში ასვლიდან 40 წლის შემდეგაც, ქართული სულიერებითა და იმ საოცარი ურთიერთობებით საზრდოობს, ოცდაექვსემა საუკუნემ რომ შეადუღა და ქართველთა და ებრაელთა მტკიცე ციხე-სიმაგრედ აქცია.

ორი წლის წინ, თანამოაზრეებთან ერთად, ისრაელში საზოგადოება „გულთა კავშირი“ დააფუძნა, რომლის ეგიდით ქართველი და ებრაელი ერისათვის არაერთი საინტერესო, კულტურულ-შემეცნებითი პროექტი განხორციელდა.

ახლახან, ბატონი პაატა განსაკუთრებული მისიით იმყოფებოდა საქართველოში, რომელიც ისრაელში, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის დაზარალების საკითხს უკავშირდება.

საზოგადოება „გულთა კავშირმა“, უპირველესად, ქართულ-ებრაული თემის ღირსეული წინაპრების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობა გამოიკვლია, თავი მოუყარეს ხელნაწერებს, გამოიკვლია და ებრაულად ითარგმნა წიგნები, ანთოლოგიები. „გულთა კავშირის“ ხელშეწყობით შეიქმნა დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები, რათა მომავალთა თაობამ უკეთ გააცნობიეროს ამ ორი ერის ურთიერთობის უნიკალურობა მსოფლიოში.

პაატა იოსებაშვილის თაოსნობით, ისრაელიდან საქართველოში არ წყდება დელეგაციების დიპლომატიური და მეგობრული ვიზიტები. მისი ინიციატივით მოხდა ქუთაისის, ბაღდათისა და ხარაგაულის ქ. ხაიფასთან დამეგობრება. 2 წლის წინ, ქუთაისში ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ხეივანი გაშენდა, რომლის ანალოგი დაგეგმილია თბილისშიც. პაატა იოსებაშვილის სახით, საქართველოდან ისრაელში ჩასულებს, არამარტო გულდია მასპინძელი, არამედ ქველმოქმედიც ჰყავს, რომლის უანგარო ხელშეწყობით თელავის უნივერსიტეტში კვალიფიკაცია გავლილი ქართველი სტუდენტები, დღეს, ჩვენს ქვეყანას ემსახურებიან, იქ მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით.

ჯვრის მონასტერი მხოლოდ რუსთაველის ფრესკა არ არის...

ერთი წლის წინ საქართველოს პატრიარქის პირადი მიწვევა მიიღო, რაც ყველაზე დიდი ჯილდო იყო მისთვის, სხვა უამრავ ჯილდოსა და რეგალიას შორის. საპატრიარქოს ტელევიზიისა და რადიოს – „ერთსულოვნების“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ანდრიძემ, უწმინდესთან შეთანხმებით, საშვილიშვილო საქმის – ისრაელში არსებული მემკვიდრეობითი ფასეულობების საქართველოსთვის დაზარალებასთან დაკავშირებით, ერთობლივი მუშაობა შესთავაზა, და ახლახან, სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა ბატონი პაატა საქართველოში. მანამდე კი, ისრაელში საპატრიარქოს დელეგაციას უმასპინძლა, ტელევიზიის გადამღებ ჯგუფთან ერთად. მისივე შუამდგომლობით, დელეგაციის წევრების მიერ, ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე, სადაც, წლების მანძილზე, ფეხის დადგმა, ტურისტის სტატუსითაც კი, გართულებული იყო, ქვევრები ჩაიდგა და საქართველოში დაწურული ღვინით შეივსო. ეს ფაქტი განსაცვიფრებელი და უპრეცედენტო წინაპირობაა იმ დიდი მიზნისა, რომელიც ქართველებისა და ებრაელების გულთა კავშირით უნდა აღსრულდეს.

„ისრაელში ყველაზე მეტი სულიერი თუ მატერიალური ფასეულობაა, როგორც „ნაშთი ძველი დიდებისა“, ის სიმდიდრე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ცხენზე ამხედრებულებს შეჰქონდათ თქვენს წინაპრებს, ამაყ მამა-პაპას. ჰექტორობით მინას ფლობდა მაშინ საქართველო ისრაელში და დიდი იმპერია იყო, ძლიერი და ერთიანი. ჯვრის მონასტერი მხოლოდ რუსთაველის ფრესკა არ არის! სართულებზე განლაგებულია პალატები, სადაც მოქმედებდა ეკლესია. აგრეთვე, გოლგოთის მთაზე, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ზედა ნაწილიც ქართველების კუთვნილება იყო, სადაც სასულიერო კოლეჯი ფუნქციონირებდა. მე-18 საუკუნიდან საქართველომ კონტროლი დაკარგა, ბერძნები დაეპატრონენ თქვენს მემკვიდრეობით ფასეულობებს და, დიდი ხნის მანძილზე, მკაცრად გასაიდუმლოებული წესით მალავდნენ ამ ყოველივეს დამამტკიცებელ არქივებსა და ხელნაწერებს.

ღვთის ნებით, ბერძენი მეუფე ქრისტიანმა არაბმა შეცვალა, რომელიც გვიღებს ჯვრის მონასტრის კარს ქართველ ებრაელებს!..

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რამდენად ჩაერევა ისრაელის მთავრობა ამ საკითხის გადასაწყვეტად? არ ჩაერევა და არც ხელს შეგვიშლის, ეს ერთგვარი ტაქტიკაა. მეგობრობის სიმაღლეზე უნდა მოგვარდეს ეს დიდებული საქმე, რისთვისაც „გულთა კავშირი“ თავის ყველა რესურსს გამოიყენებს და, ამ ყველაფერს, ორგანიზებას მე გავუწევ. ერთგული კაცი გვყავს ჯვრის მონასტერში. მიუხედავად კათოლიკური აღმსარებლობისა, ვატიკანიც უჭერს მხარს ამ გეგმის განხორციელებას. მთავარია, ისრაელის მთავრობას დაუმტკიცოთ, რომ ეს ყველაფერი შენი იყო და მომავალშიც შენი უნდა იყოს. ეს კი ძალზე მარტივად დამტკიცდება იმ უნიკალური, ჩაკეტილი არქივების გახსნით, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ინახება. მჯერა, საერთაშორისო სასამართლო ობიექტურ განაჩენს გამოიტანს!

სექტემბრის ბოლოს ებრაული ახალი 5780 წელი დგება. ებრაელებს თორაში გვინერია, რომ 6000 წელს „გულთა“ – იგივე შევლა, ხსნა მოხდება. ვილოცებ, რომ „გულთა“ საქართველოსთვისაც მალე დადგეს! ამინ!

ბიოგრაფია

ცხინვალში დაიბადა და 4 წლამდე იქ იზრდებოდა. შემდეგ, ოჯახი დედუღეთში – ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. სკოლის დამთავრებისთანავე პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში (მაშინდელ „გეპეი“-ში) ჩააბარა. სულ მალე ისრაელში – ისტორიულ სამშობლოში გამგზავრება (ასვლა) მოუწია. არქიტექტორის პროფესია ასპირანტურით გაიღრმავა და... 12 წელი ქ. ხაიფას მთავარი არქიტექტორი იყო, შემდეგ საკუთარი საპროექტოც გახსნა.

ქართველი ებრაელი – უნიკალური ფენომენი.

„საქართველოდან მადლიერება, სიყვარული და კულტურა წავიღეთ, რომლითაც დღემდე ვსაზრდოობთ ქართველი ებრაელები. ჩვენ სხვაგვარად ვერ ვისულდგმულვებით, სხვა ენაზე ვერ ვიმღერებდით. ბავშვებს ქართველი დედის მზრუნველობითა და სულისკვეთებით ვზრდით. სკოლის დასრულების შემდეგ, ისრაელში ახალგაზრდამ დამოუკიდებლად უნდა მიხედოს თავს, რადგან მშობლის მოვალეობა ამოიწურა. ჩვენ კი – ქართველი ებრაელები შვილებს არასოდეს ვტოვებთ! ქ. ლუდში ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა ემიგრანტი ქართველებისათვის, სადაც 20-30% ქართველი ებრაელები სწავლობენ!..

ჩვენი სამშობლო საქართველოა, რადგან აქ დავიბადეთ, ისრაელი ჩვენი შვილების სამშობლოა. ამასთან ერთად, მათ იციან, რომ საქართველოს პატივი უნდა სცენ. ლოცვისას, ხშირად, ჯერ საქართველოს ვლოცავთ, შემდეგ ისრაელს. სანამ ცოცხალი ვარ, საქართველოს ვემსახურები ჩემი, თუნდაც, მცირედი წვლილით.“


„გულის ჭია“...

2017 წელს, ისრაელში გასტროლებზე იმყოფებოდა „ცისფერი ტრიო“, რომლის წევრებთან უტკბილესი წლები – სტუდენტობა აკავშირებს. ბადრი ჯანაშვილის დახმარებით, კურსელებმა მეგობარი მოძებნეს და... „კულისებისკენ რომ წამიძღვა, ბადრის ვკითხე, სად მიგყავარ-მეთქი. უცებ, დათო აბესაძეს ვხედავ, ქართულ ჩოხაში, ამდენი წლის შემდეგ... მუხლები მომეკეცა... ვტიროდი... გულის ჭიამ გაიღვიძა. საქართველოს დავუბრუნდი!“

„გულთა კავშირი“

მრავალი წლის მანძილზე, ისრაელში ქართველი ებრაელების არაერთი მოქმედი კავშირი არსებობდა. იყო ქართველების კონგრესი პარლამენტში, იყო ჟურნალ-გაზეთები, ქართული თეატრალური დასი. დღესდღეობით, სხვადასხვა მიზეზით, დაშლილია ის, რასაც ქართველი ებრაელების ნიშა ერქვა ისრაელში. 2 წლის წინ საზოგადოება „გულთა კავშირი“ დააფუძნეს ქართველმა ებრაელებმა, სულმნათი პოეტი ქალბატონის – ნანა შაბათაშვილი-დავარის, პროფესორ შალვა წინუაშვილის, ნუგზარ ჯანაშვილის, რობერტ აჯიაშვილისა და აბრამ პაატა იოსებაშვილის ინიციატივით, რომელიც საზოგადოების პრეზიდენტად ერთსულოვნად იქნა არჩეული. „გულთა კავშირი“ იმ კულტურის კერიის გამაცოცხლებელი უნდა გამხდარიყო, რაც ქართულ-ებრაული ურთიერთობის მნიშვნელობას შეუნარჩუნებდა მომავალ თაობებს.

იუბილეა



გივი გელაშვილი 80

ეს ცხოვრება – ზამთრის ღამის
სულ პატარა მელოდია,
სევდიანი პეიზაჟი,
ცრემლიანი პაროდია.
ეს ცხოვრება ლოდინია,
ლოდინი და მოგონება,
სიზმარივით, წამში ქრება,
მოჩვენება გეგონება.
ხან რომ წყრება, ხან დატკბება,
ხან მღელვარედ ხმიანია,
ხან მწუხარე, დაღვრემილი,
ხანაც, ზოგჯერ, მზიანია.
ეს ცხოვრება თუ გილიმის,
დეკემბერშიც აპრილია,
სიყვარული თუკი გათბობს, –
ყველაფერი ადვილია.

ო, წლებო, წლებო...

ო, წლებო, წლებო, ოცნების წლებო,
საით გაფრინდით, სად გაქრით, ბედად?!
მომტაცეთ ურჩი ახალგაზრდობა
და დამიტოვეთ ფიქრი და სევდა.
მომტაცეთ ქვეყნად ყველა იმედი,
მღელვარე გულიც თქვენს სრბოლას გაჰყვას,
თავდავინწყებით რომ ვაჭენებდი,
აღარ მყავს რაში, მაშინ რომ მყავდა...
აღარ მყავს, არა, მფრინავი რაში,
ცეცხლოვან ფრთებით ღრუბლებს რომ კვეთდა,
ფაფარაშლილი თოვლსა და ქარში,
ჭიხინ-ჭიხინით ბედს რომ დასდევდა.
ჰეი, სად არის შემდგარი ყალყზე,
ჩემი მერანი – მთებზე მფრინავი?
რომ ძველებურად მოვევლო ზურგზე
და გავაქროლო, როგორც ნიავი!

რით განვსხვავდებით, ძალო, მე და შენ? –
ორივეს გვარჩენს პური და წყალი,
მეც ხომ, შენსავით, ლუკმისთვის დავძრნი
და კიდით-კიდე მიწვევს წაწნალი!..
ლუკმის ლოდინში შენ კუდს აწვალე,
მე ნიღაბს ვირგებ, როცა ვიცინი
და ამ ცხოვრებამ მეც შემასწავლა
შენებრ ლაქუცი, კუდის ქიციანი.
მეც შენებრ მტანჯავს ყოფიერება,
მეც ხომ შენსავით ვღრინავ და ვყეფავ,
მეც ხომ სამადლოდ მიგდებენ ლუკმას!
მაშ, განსხვავება რა არის, ნეტავ?!

გილოცავთ!

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის კეთლდღეობაზე მზრუნველი
ამაგდარი – მოკრძალებული, ფიქრმოჭარბებული მზერით.
ჩამოთოვლილი მთის გარინდებითა და წელთა სიმრავლით დროის
დინებას შერკინებული ჭაბუკური ალტკინებით.
მოუსყიდველი მრწამსითა და უღალატო თავდადებით.
ლირიულ სტრიქონებში გაცხადებული მინდვრის ყვავილების
ფერთა ჰარმონიით.
შავ-თეთრი რეალობის ტკივილამდე გათავისებით –
ეს ბატონი გივის სამყაროა, რომელიც ცხოვრების ქარ-ცეცხლში
გამობრძმედილი პასუხისმგებლობით რვა ათეულ წელს ითვლის.
ალეკო ლონდაძის ფრაზები მაგონდება:
„და ასაფრენად მზად ხარ
მოხუცებული ბიჭი...“
კიდევ დიდხანს, მხნედ გეფრინოთ პოეტურ სივრცეებში, ბატონო
გივი.
იდლეგრძელეთ!!!

პატივისცემით, ეკა ბაქრაძე

„და ჩემს უდარდელ ბავშვობას ვნატრობ...“

ლექსს და პოეტს უნდა ჰქონდეს თავისი ისტორია, ბიოგრაფია.
გივი გელაშვილის პოეტურ ხილვათა პირველსახეს სწორედ მისი
ბიოგრაფია განსაზღვრავს:

„ბედის განგება, ჩემს მომავალზე
მოგსურვებია ჩუმად ჩურჩული,
საით მიგყავარ, საით მიმათრევ,
თავად უგზო და გზა აბურდული?“ – მარადიული კითხვაა,
რომელზეც კონკრეტული პასუხი არ არსებობს.

„არაფრისთვის დავიბადე,
არაფრისთვის წავალ ცაღო,
არაფრისთვის ვფორიაქობ,
არაფრისთვის უნდა ვცაღო.“
სწორედაც, უნდა ვცაღოთ, რადგან ცხოვრება ბრძოლაა,
თვითდამკვიდრება, მარადიულისკენ სწრაფვა. სხვაგვარად არ ძალუძს
მოაზროვნე ადამიანს, პოეტს.

პოეტი ლექსებში ეძიებს, ბევრს ფიქრობს, პუბლიცისტის
ცივი გონებით დანახულ დღევანდელობას პოეტური ფერებით,
მეტაფორებით ხატავს.


ცალკე აღსანიშნავია გივი გელაშვილის ღვანლი, როგორც დიმიტრი
ყიფიანის სახლ-მუზეუმის თავდადებული მსახურის, ისევე, როგორც
თავისი ქვეყნისა და სოფლის დიდი გულშემატკივრისა.

გასაოცარია რომ, ბატონი გივი ინარჩუნებს როგორც ფიზიკურ,
ასევე, სულიერ ფორმას, სიმხნევს, ხალას იუმორს, ახალგაზრდულ
ჟინს, ოცნებას, აზარტს.

„ვისსენებ სოფლის მტირალა წნორებს,
წარსულის წლების სურნელი მათრობს,
გავხედავ სევდით დაბინდულ შორეთს
და ჩემს უდარდელ ბავშვობას ვნატრობ.“

დიდი დრო გასულა... ცხოვრება კი, კვლავ გრძელდება.
ვულოცავ ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს **80** წლის საიუბლეო
თარიღს, ვუსურვებ ჯამრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს!

შოთა დარბუაშვილი,
პოეტი, კომპოზიტორი



**მალე ორი ხუთიანი
ჩამომართმევს ხელს,
გული გულობს... შემოდგომა
თმაში სხივს მახუნევს...
თუმც, წლებს კრძალვით ვეჭიდები,
ეჭვით ვუმზერ ზვრებს,
ფერს არ ვიცვლი, ვით დავპირდი
სულმნათ დედაჩემს...**

კლარა გელაშვილი - 55

ფაქიზი სულის პოეტი

„პოეტი მსუბუქი, ფრთაშესხმული წმინდა არსია. ის ფუტკარივით დაფრინავს მუზების თვალწარმტაც ბალებსა და ჭალებში, თაფლმწვეთარე წყაროების პირას და გულმოდგინედ აგროვებს ჩვენთვის გოლუღივით ტკბილ საგალობლებს“ (პლატონი, „იონი“, გვ. 30)

„პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა ღვთივ რჩეულთა. მადლი, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის... ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა.“ (ილია ჭავჭავაძე) – ეს ფრაზები გამახსენდა, როდესაც ქალბატონი კლარა გელაშვილის პოეტურ ქმნილებებს გავეცანი და ვიგრძენი, როგორ ფაქიზად არის გადმოღვრილი პოეტი ქალის ბაგიდან „გოლუღივით ტკბილი საგალობლები.“ მისი ლექსები გამოირჩევა სინატიფით და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით, სულიერი სიფაქიზით. მისი პოეტური ქმნილებები ზნეობრივი სინამდისა და სულიერად ამაღლების საგალობელია. მისი სიყვარული კი, ქვეყნისა, დედისა, მოყვასისა ქრისტიანულია და განუმეორებელი კდემით არის სავსე.

პოეტს, უპირველესად მისი, მრავალტანჯული სამშობლო უყვარს და მზად არის, სისხლის წვეთებად დაიღვაროს მისთვის:

„შენი გულის ჭრილობიდან დავიბადე,
სისხლის წვეთად დავცემივარ მინას,
დაჭრილ მკერდზე კვლავ იმ რწმენით გავიზარდე,
შენთვის მოვკვდე იმ წამს.“

ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟს ავედრებს მამულს: „მინას, მშობლიურს ჰფინე ნათელი.“

დედისადმი მიძღვნა არაერთი ავტორის სავიზიტო ბარათია პოეზიასა თუ პროზაში. მათ შორის, ქალბატონი კლარას ლექსები ერთ-ერთი საუკეთესოა. როგორი სიყვარულია მათში, მონატრება და, ზოგჯერ, მწუხარება:

„ვიდრე შენ ხარ, შენი სუნთქვა მათობს,
არაფერი არ მაშინებს, დედა,
ვიდრე შენ ხარ, ყველაფერი მომწონს,
გულისტკენაც საამურად მესმის...“ როდესაც „დედას დაუზამთრდა“ და სამუდამო სასუფეველს მიაშურა, პოეტი შვილის მწუხარებამ და ტკივილმა აპოგეას მიაღწია:

„უკვე, აღარ მთხოვ, მოვიდე ხშირად,
არ მეტყვი – „დარჩი, – ოჯახში მშვიდად...“
გეძებ და გეძებ, გპოულობ ვერსად,
არა და, ბევრი რამ უნდა მეთქვა...“

ან კიდევ:
„ჩემი ბარაქის ხატი, ჩემო იმედის გუდავ,
სიცოცხლე მხოლოდ შენით და შენთან ერთად მსურდა...“

ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ბედით გამონწვეული ტკივილი ლირიულად არის გადმოცემული ლექსში – „კეთილი ძია“:

„ჩამოიარა ხელებგანვიღიმა
და, ვაგონ-ვაგონ, ცხოვრებას გაჰყვა...
– ვაი, ჩვენს ყოფას! ვისი ხარ, შვილო?!
– მე? – არავისი, პატრონი არ მყავს!“

მიუხედავად ამისა, პოეტი შეუდრეკელია და ამაყად აცხადებს:
„რომ შემიპყრონ, მონად ვერვინ მაქცევს,
ქედს ვერ მოვხრი ქალურს, მაგრამ ამაყს.“

კლარა გელაშვილის ლექსი „მხოლოდ ქართულად“ ქართული ენის სადიდებლად შექმნილი ლაღადისი და ერთგვარი გამოძახილია ჩვენი წინაპრის ნათქვამის: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს!“

„გადამითარგმნეთ „გენაცვალე“, თუნდაც, „გეთაყვა“,
დედაენაში აკინძული ჩვენი ფოლკლორი,
მითებითა და ლეგენდებით სავსე ქვეყანა...“

მელოდიურია პოეტის ლირიკა. მუსიკა ხომ პოეზიის უმაღლესი გამოვლინებაა. მისი ბუნებრივი სანყისია. იგი უპირველეს როლს ასრულებს ლექსში. ამიტომ, პოეტი უნდა ცდილობდეს, მიუახლოვდეს მას. გალაკტიონს მიაჩნდა, რომ პოეტი, რომელსაც ეს თვისება არ გააჩნია, არ არის შემოქმედი. ქალბატონი კლარას ლექსებში იგრძნობა მუსიკის სიახლოვე მხატვრულ სიტყვასთან. შემთხვევითი არ არის, რომ მის ლექსებზე რამდენიმე სიმღერაა აჟღერებული:

„შემოდგომის ლამაზ დღეს,
ფიქრი მაღლა ამაფრენს,
შემეფეთე რალა დღეს? –
ველოდები განაჩენს“.

ქალბატონი კლარა ოჯახისა და ქართული ტრადიციების მოყვარული და დამცველია. არ ავინყდება ის ვალდებულებები, რომელსაც, ქალს, ოჯახი, საზოგადოება და სამშობლო აკისრებს. იცის, რომ ოჯახი, მუზასთან ერთად, დიდი ტვირთია.

„სახე და სახელი გერევა,
და მაინც... მარტო ხარ მუდამ,
მძიმე და ძვირფასი ტვირთია
ოჯახი, შვილი და მუზა.“

დიდი სითბოთია გამთბარი ოჯახის წევრებისადმი მიძღვნილი უმშვენიერესი ლექსები: („ეკას“; „მარიკას“; „ჩემს ნიას“; „ძმას“; „ბათუს“; „ერთი წლის ფიქრისა“; „მეუღლეს“.)

„ჩემო მზისთვალა, გენაცვალოს შენი ბებია,
დე, ეგ ხმა იყოს სამყაროზე გადაძახილი“. („შვილიშვილს“)
აღსანიშნავია პოეტი ქალის მზით გამთბარი იუმორი:

„ვაჟავ, თუმც, კვლავაც გიპყრია
ხელთ ხმამალალი სტვირია,
ევა რომ გატუტუცებდა,
მაშინ სად გქონდა ტვინია?“ („იუმორესკა“)

პოეტი უსაზღვროდ არის შეყვარებული ქვიშხეთსა და მის ბუნებაზე. ულამაზესი მთები მისი მუზის ერთ-ერთი წყაროა. ქვიშხეთის ბუნებაში გრძნობს იგი სასიცოცხლო ძალას:

„გამოიღვიძე, ჩემო ქვიშხეთო,
მთანმინდის კალთა გადაგფარვია,
შენ, შთაგონების დიდო მდინარევ,
ნეტავ, ვინ იყო შენი ნათლია?“

პოეტის ლექსიკა მდიდარია მეტაფორებით, შედარებებით, ეპიტეტებით: „ქვიშხეთს დალაღივით გადაყროდა მხრებზე ტალღოვანი მტკვარი“; „ქანაობდა, როგორც მტკვარი, ნიჩბად თეთრ ფუნჯს ხმარობდა“ („ფიროსმანი“); „მორბის თავდავინყებით ფეხშიშველი წვიმა“; („მუზის ღუმელთან“); „დიდგულა შოლას დააშრობს გვალვა“; „გულზე აკეთებს ბუქნებს, ჯვრაც უწლიქო ლექსი...“

პოეტის ლექსებში არ არის მყვირალა ფრაზები. იგი გულწრფელია, მისი სტრიქონები კი შინაგანი ენერგიით, ბუნებრიობითა და სინათლით არის სავსე. მისი ლექსი უშუალოდ მიდის მკითხველის გულთან.

ერთი საგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. სათქმელი ბევრი დამრჩა...

რომ შეიგრძნო მისი ნათელი პოეზია, (კლარა ლათინური სიტყვაა და ნათელს ნიშნავს) უნდა წაიკითხო, ეზიარო, გაითავისო.

კლიმენტი სუთიაშვილი

XXI საუკუნის ზღურბლზე

ოცდამეერთე, ოცდამეერთე,
ოცდამეერთედ რეკვა ზარისა,
ოცდამეერთე ნამი რიჟრაჟის
და მიძინება წინა ღამისა.
ნუთუ, ისა ხარ, ვისაც ველოდით
გულის ფანცქალით, თმენის გორებით?
იქნებ, შენც ისე, როგორც ყოველი
მწარე წარსულად განმეორდები?!
სისხლის მათრახით ფიქრად ქცეული
წლების გახედნას თუ დააპირებ,
მდინარესავით გადმოველები
მკაცრი ჟამთასვლის მძიმე ნაპირებს...
ჩვენი – ყველასი ვალია, ერთად
როგორმე, ვპოვოთ იგი – ტაძარი,
ნუთუ, აპირებ, გადაიბარო
ტვირთი მძიმე და ტვირთი ამგვარი!
და თუ არ იშლი, მაინც მოდიხარ,
მაინც მოარღვევ პირქუმ ტრამალებს,
გადამღერება თუ კვლავ მოგელის –
ყური დამიგდე, – გთხოვ და გავალებ! –
კვლავ მოგვივლინე ერთი თამარი,
ერთი დავითი, ერთი თევდორე,
მე ქეთევანის კაბა ჩამაცვი
და მისი ტანჯვა გამიმეორე!
გული დასერე, შანთით დამივსე
თვალის, ისედაც უკვე დავსილი.
დაე, ურჯულოს ხელმა მომცელოს,
არ მინდა ციხე – შიგან გახსნილი!
ოცდამეერთე, ბნელა ძალიან,
მინას, მშობლიურს ჰფინე ნათელი,
ფრთხილად, მტკივან გულს ნუ დააბიჯებ,
სული აგვივსე თეთრი ფანტელით.
გმადლობ, უფალო რომ მე, მოკვდავი,
საუკუნეთა აღლუმს შემასწარ,
წარმავალია ქვეყნად ყოველი,
მარადიული მხოლოდ შენა ხარ!

პოეზია



ორ წელზე მეტია, რაც ინტერნეტ-სივრცეში გვერდი „პოეზიარი – ავტორთა წარმოჩენა“ დამკვიდრდა, რომელმაც ასობით ცნობილი თუ უცნობი, სხვადასხვა თაობის ქართველი პოეტების (მათ შორის, ხაშურელი) შემოქმედება გამოამზიურა, რასაც, ავტორებთან ბლიც-ინტერვიუების მსგავსად, მკითხველის დიდი ინტერესი მოჰყვა.

ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი ახალგაზრდა პოეტი თემურ ჭახნაკია გახლავთ.

„ლიტერატურული ხაზი“ ულოცავს დაბადების დღეს ნიჭიერ ახალგაზრდას და ამჯერად, თავად „პოეზიარის“ ბლიც-ინტერვიუს გთავაზობთ.

დავიბადე – 1992 წლის 19 სექტემბერს, ერთიან საქართველოში, მაშინ, როდესაც აფხაზეთი ჯერ კიდევ არ იყო მიტაცებული რუსეთის მიერ.

გახლავართ – დედასამშობლოს ერთ-ერთი რიგითი შვილი, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, თავისი წილი აგური დადოს ეროვნული სახლის მშენებარე, მყარ კედელზე.

ვცხოვრობ – ამჟამად ვცხოვრობ სამტრედიის რაიონის ცხენისწყლისპირა სოფელ ჩხენიში, სადაც უდარდელი ბავშვობის წლები გავატარე, სადაც ცხენით მიჯირითაა ჭალებში და ვრცელ ტრამალებზე, მოლზე ფეხშიშველს მიბრუნია, ყანა გამითხნია, ბაღა დამიბარია, საქონელი მიმწყემსია, ჩემი სოფლის მკვიდრი არიან დიდი მათემატიკოსი – ანდრია რაზმაძე და პოეტი – გრიგოლ ჯულუხიძე.

ვწერ – თვრამეტი წლის ასაკში დავიწყე „ლექსების“ წერა. დღეს ვაცნობიერებ, რომ ჩემს ძველ ლექსებს ლიტერატურული ღირებულება არ გააჩნია. ვფიქრობ, ამ ბოლო დროს, შედარებით უკეთეს ლექსებს ვწერ, მაგრამ დრო რომ გავა, მოსალოდნელია, ესენიც არ მომენონოს. ძალიან თვითკრიტიკული ვარ. თვითკრიტიკა პიროვნების განვითარების საფუძველია. ვწერ ნოველებს, მოთხრობებს და დოკუმენტურ-პროზაულ ნაწარმოებებს.

მიყვარს – დედაჩემი... ნიგნების კითხვა; ქართულ სუფრასთან მოლხენა, საინტერესო ადამიანებთან ერთად; ლამაზ და ჭკვიან ქალთან საუბარი; მთა, თავისი ხასხასა ბუნებით, სუფთა ჰაერით, ტყით, ნაკადულებით, ჩანჩქერებით; თვალწარმტაც ბუნებაში ხეტიალი; ძველი ქართული ფილმების ყურება. მიყვარს ბავშვები და ცხოველების პატარა ნაშიერები.

ვფიქრობ – ეჭვიანობას, ძირითადად, უნდობლობა იწვევს. ძვირფას ადამიანებზე არასდროს მიეჭვიანია, ვფიქრობ, რომ ეჭვიანობის საფუძველი არ არსებობს, სადაც სიყვარული მყარი და ორმხრივია.

ვაპტიობ – რა თქმა უნდა! თუმცა, ზოგჯერ უცნაური პატიება მახასიათებს, – პატიება თუ შპეია იმას, როდესაც ადამიანი ჩემ მიმართ არაერთხელ დააშავებს, რამდენჯერმე ავუხსნი, რა მეწყინა, რა იყო მის ქცევაში ჩემთვის მიუღებელი, მესამე შემთხვევაში მასთან ვწყვეტ ყოველგვარ ურთიერთობას და არასდროს ვფიქრობ შურისძიებაზე, არც ბოლმას ვიტოვებ გულში, ვივინყებ.

ვგრძნობ – ჩემ მიმართ ბევრი ადამიანის კეთილგანწყობას და სიყვარულს. ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, რომელიც მზად არის, გახდეს უკეთესი და წარმატებული, ასახელოს საკუთარი ოჯახი და სამშობლო.

მეშინია – ღმერთის არარსებობის და შემოქმედებითი კრიზისის. მეშინია, რომ ქართველები არ გადავგვარდეთ, ჩვენი მეობა, იდენტობა არ დაგვკარგოთ.

არ შემიძლია – ვხედავდე უსამართლობას და თვალები დავიბრმავო, ენა დავიმუნჯო. არ შემიძლია პირფერობა, სიტყვის შეუსრულებლობა, მეგობრის ღალატი, ვარსკვლავების მოწყვეტა. „არ შემიძლია, დუმილით ამოვიქოლო პირი, უსამართლობას ვერ ვიტან და ამიტომაც ვყვირი!“

გული მიჩუყდება – როდესაც ქუჩაში ვხედავ მოხუც ადამიანებს, რომლებიც ხილ-ბოსტნეულს ყიდნიან; მოწყალეების მთხოვნელ, უპოვარ, უპატრონო ბავშვებზე, ჭუჭყიანი ხელებით და სუფთა, უბოროტო თვალებით; მანანნალა ძაღლებზე; ფილმის – „ფესვები“ არაერთ ემოციურ მომენტზე; ქართველი ლომგულა სპორტსმენების ყოველ გამარჯვებაზე.

ვკითხულობ – ამჟამად – კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ლიმილს“ და სერო ჭილაიას „მოგონებების გამას“. ვკითხულობ როგორც ინტერნეტში, ასევე, ნიგნებში. არ არსებობს უსარგებლო წიგნი, ყველა ნაწარმოებში მოიძებნება რაიმე საინტერესო, რაღაცის მომცემი, როგორც ყველა ადამიანში. წესად მექცა ყოველდღიურად, სულ ცოტა, ორმოცდაათი გვერდის წაკითხვა. უნიგური ის არის, ვინც, ათასი წიგნის წაკითხვის შემდეგაც, იგივე დარჩება აზროვნებით და შეგნებით, როგორც თავდაპირველად იყო.

ვეძებ – ოქროს თევზს, ერთი თხოვნა მაქვს მასთან – საქართველოს გაერთიანება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მაგრამ ჯერ ვერ ვიპოვე. ვეძებ ნიჭიერ ავტორებს, რათა „პოეზიარზე“ წარმოვაჩინო, საბედნიეროდ, ბევრი ვიპოვე და გავაცანი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს. ვეძებ ჯერ მიუგნებელ, კეთილხმოვან რითმებს, ტროპის ორიგინალურ სახეებს, არ ვიცი, რამდენად გამომდის. ვეძებ ადამიანს ადამიანში.

ვბრაზდები – როდესაც ვხედავ, რუს-ოსი ოკუპანტები როგორ, დღითიღე, გვიმოკლებენ საზღვარს; აზერბაიჯანელების მიერ დავით გარეჯის მიტაცების მცდელობებზე; როგორც ფიზიკურ და სიტყვიერ, ასევე, ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, განსაკუთრებით, სუსტი სქესისა და ბავშვების მიმართ, რაც, საუბედუროდ, საქართველოში ძალიან ხშირია. ვბრაზდები, როცა ქართველი „ვაი-ჟურნალისტები“ და „ვაი-პოლიტიკოსები“, საუბრისას, ჭარბად იყენებენ უცხოურ სიტყვებს, მაშინ, როცა მშვენიერი ქართული შესატყვისებიც არსებობს; როცა საქართველოში სხვადასხვა დაწესებულების აბრებზე, უცხოურ წარწერებთან ერთად, ქართულს ვერ ვხედავ. პურისტი არ ვარ, მაგრამ ენის სინმინდის დაცვა მიყვარს და მალიზიანებს „სლენგისა“ და ბარბარიზმების მოჭარბება.

ვიმასხვობ – ბევრი რამ მახსოვს, წვრილმანებიც კი, რის გამოც გონება გადატვირთული მაქვს, ბოლო ხანს მეხსიერების პრობლემამ შემანუხა, თავლის ჭამა დავიწყე და ვაღიარებ, მიშველა, მგონი ზედმეტად ტკბილიც გავხდი.

ვიცინი – ხშირად ვიცინი, უფრო შინაურულ გარემოში. ვიცინი ჯანსაღ იუმორზე.

ვიცინი, როცა ჩემი მეგობრის დიდ და კვიან ცხვირს ვუყურებ, შაპ-აბასის ხმალივით აქვს, ოპერაციას არ იკეთებს. ფოტოების გადაღებისას არ ვიცინი.

ვინახავ – ხმელ ფოთლებს და ყვავილებს ბლოკნოტის ფურცლებს შორის; ძველ იარაღებსა და ჭურჭლებს. მომავალში მსურს, რომ სოფელში ამ ნივთების მუზეუმი გავაკეთო. სამუზეუმე შენობა უკვე ავაშენეთ მე და მამაჩემმა. გულის ზარდახმაში ვინახავ ძვირფასი ადამიანების ხსოვნასა და ტკბილ მოგონებებს.

მწამს – სულის უკვდავების, უფრო სწორად იმის, რომ სიკვდილი არ არის დასასრული, რომ შემდეგ რაღაც იქნება, მაგრამ არა მგონია იმ ფორმით, როგორც საღმრთო ნიგნში წერია. მწამს, რომ ერთ დღესაც, შევხვდები იმ ადამიანს, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო.

მსიამოვნებს – უცხოელის ქართულად საუბარი; ყურადღება ჩემ მიმართ, როცა ანაღვლებს ჩემი ბედი; ასევე, ხასხასა ბუნებაში „პიკნიკზე“ გასვლა. მსიამოვნებს, როცა სხვას ვანიჭებ სიამოვნებას.

ვივინყებ – დაუშასხურებელ გულისტკენასა და წყენას, საბოლოოდ, ვივინყებ, რადგან გულში მხოლოდ სიყვარულმა მინდა დაივანოს და შიგ ბრაზის, ბოლმის და ღვარძლის ადგილი არ იყოს.

მეისზმრება – ნაირფერადი და ფანტასტიკური ჩემი სიზმრების სამყარო.

ვეხმარები – ამ თემაზე საუბარი არ მახასიათებს. გული მტკივა, როცა ადამიანს დახმარება სჭირდება, იმსახურებს, მთხოვს და ვერ ვეხმარები.

ვუსმენ – უპირველესად, სინდისისა და გულის ხმას. ასევე, ხშირად ჩამესმის არდაკრული ტაშის ქუხილი, რომელსაც დიდი პოეტები იმსახურებენ.

ჰობი – „პინგ-პონგის“ თამაში, მგონი, კარგად გამომდის, თუ ვინმეს სურვილი აქვს ჩემთან თამაშის, „ფეისბუქზე“ შემეხმინოს.

ვფიქრობ – სიკვდილის შემდეგ, სული, თუ მარადისობაში მოხვდება, რა ფორმით იქნება ეს, სულს თუ ექნება ადამიანური განცდები – ტკივილის, სიყვარულის, წყენის, სიბრაზის? ალბათ მოსაბეზრებელი იქნება სადმე მარადიულად ყოფნა. ვფიქრობ, რას ნიშნავს სიტყვა „უსასრულობა“. წარმოიდგინეთ, რომელი მიმართულებითაც უნდა ნავიდეთ, გზა არასდროს დამთავრდება, თუ რაიმე ბარიერი შეგვხვდება, იმის შემდეგაც ხომ რაღაც არის, ასე უსასრულოდ... იქნებ ჩვენი ცნობიერი სიცოცხლაც ილუზიაა.

ვწანობ – ხელოვნებათმცოდნეობაზე რომ არ ვისწავლე და სამართალმცოდნეობა ავირჩიე. თუმცა, ვაპირებ, ჩემს საყვარელ სფეროში მივიღო კლასიკური განათლება. ბოლო წლებია, აქტიურ თვითგანათლებას ვწვევი ლიტერატურათმცოდნეობაში.

მანაღვრობ – უპირველესად, საქართველოს ბედი. დღესდღეობით, კატასტროფული სიტუაციაა ჩემს სამშობლოში, გვყავს ასობით ათასი ლტოლვილი, ასობით ათასი ნარკომანი, უამრავი ავადმყოფი და უპოვარი, ათასობით დანგრეული ოჯახი, დაცარიელებული სოფლები, გაძეძგილი ფსიქიატრიული დაწესებულებები!.. შიშისმომგვრელი სტატისტიკებია, მაგრამ მჯერა, რომ ამოვალთ ამ აუტანელი ჭაობიდან, მჯერა, რომ კოლექტივად ქცეული „ერი“ გონს მოვა, მტერში მტერს დაინახავს და მოყვარეში მოყვარეს, ამის შემდეგ გვეშველება.

მენატრება – ჩემი ცხოვრებული ბიძაშვილი, 17 წლის ასაკში თავი მოიკლა... არასდროს ვაპატიებ. მიზეზი, დღესაც, არ ვიცი. ჩემი მოთხრობა „მერანა“ მას მივუძღვენი.

სამშობლო – „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“. ის, რაც უკიდევანოდ მიყვარს, მასზე საუბარი მიჭირს. ერთს ვიტყვი – ვინც პატრიოტი არ არის, მისი კოსმოპოლიტიზმის არ მჯერა, ჯერ საკუთარი ქვეყანა უნდა გიყვარდეს, მერე სხვისი.

რჩევა ავტორებს – ახალბედა ავტორებს ვურჩევ: იკითხეთ კლასიკური ლიტერატურა, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, სხვადასხვა თემატიკის შემცველი ლექსიკონი, გაიმდიდრეთ ლექსიკური მარაგი. არ იჩქაროთ ლექსების გამოქვეყნება და, მით უმეტეს, კრებულის გამოცემა, იყავით თვითკრიტიკულები.

„პოეზიარი“ – ამის შესახებ 100-ზე მეტმა ქართველმა ავტორმა გამოთქვა თავისი აზრი ბლიც-ინტერვიუებში. ვინც დაინტერესდება, შეგიძლიათ, „ფეისბუქზე“ ნახოთ გვერდები – „პოეზიარი – ავტორთა წარმოჩენა“ და „პოეზიარი – მხატვართა წარმოჩენა“, სადაც ამჟამად თავმოყრილია 600 პოეტი-ავტორის და 400 მხატვრის ფოტო და ბიოგრაფია, კიდევ სხვა ზღვა მასალა, რისი მოძიება და თავმოყრაც შეეძელი 2 წელიწადში.

ხელოვნება – ის, რაც თვალს ნუსხავს, სულს ესაღბუნება და გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, რომლის გარეშეც სამყარო ყრუ, ბრმა და მუნჯი იქნებოდა.

ერთი ლექსი –

* * *

თეთრი ნისლი ჩანს ცაზე სამხრეთით,
როგორც ნატიფი კოცნა როდენის,
ქარი კი, ელვის გრძელი სახრეთი,
ღრუბელთა დამფრთხალ ნახიბს მოდენის.
რატომ სურს ამინდს, რომ ამაბორგოს...
სულს ენვის დარდის განაკარები.
წინ ბანცალევენ ხეები, როგორც
ქართული ღვინით მთვრალი კაცები.
სიცარიელეს მხოლოდ შენ მივსებ,
არ ჩანხარ, გეძებ თვალის ცეცებით,
შენს ნაფეხურებს გიჟივით მივსდევ,
მაგრამ ვატყობ, რომ ველარ გენევი.
ცრემლმა წაღეკა სულის ჯებირი,
ლობის ძირში თვლემს ფოთლების ფარა,
და კაეშანი, როგორც ჯიბგირი,
სულიდან წამის სიხარულს მპარავს.
ისმის ჩიტების ტკბილი კანტატა,
ვდუმდი და უცებ მეც ავხმინადი,
გადანმინდა ზეცა, თანდათან,
და აელვარდა მთვარის ხმიადი.
ქარად ვიქცევი, მოვალ და მყისვე
ნაგრიგალარი შენში ჩავდები,
ვით ბრმები ხელებს, ისევ და ისევ,
ასავსავებენ ტოტებს ჭადრები.